დასწავლის სირთულეები და თვითშეფასების გამოწვევები სასკოლო ასაკში

თამარ წიგნაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები ხშირად არიან სტიგმატიზებულები და ასოცირდებიან წარუმატებლობასთან, რაც ამცირებს მათ თვითშეფასებას. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვს შეიძლება ჰქონდეს აკადემიური პრობლემები, რომელიც შეიძლება იყოს მუდმივი გამოწვევების წყარო, განსაკუთრებით კითხვის, მათემატიკის, მსჯელობის, მეხსიერების და/ან თვითკონტროლის სფეროებში. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბევრ ბავშვს გამოვლილი აქვს თანატოლების მხრიდან სოციალური მიუღებლობა, ასევე, თანაკლასელების მხრიდან გარიყვისა და დაშინების ეპიზოდები. კვლევებით დადასტურებულია, რომ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მქონე პირებს უყალიბდებათ საკუთარი თავის ნეგატიური აღქმა, იმ თანატოლებისგან განსხვავებით, რომლებსაც არ აქვთ ასეთი პრობლემა. აკადემიური სირთულეები გავლენას ახდენს ბავშვების თვიშეფასებაზე და ისინი იძულებულები ხდებიან, მიიღონ წარუმატებლობა და შეეგუონ ბედს.

სწავლის უნარის დაქვეითებას აქვს მრავალი ასპექტი, რაც, თავის მხრივ, წარუმატებლობის მართვის კომპონენტი შეიძლება გახდეს. სტატიის მიზანია, გაანალიზოს და შეაფასოს, თუ როგორ აისახება ბავშვის თვითშეფასებაზე, სწავლის უნარის დარღვევა და როგორი შეიძლება იყოს ამ სტიგმასთან გამკლავების პროცესი. სტატია კონკრეტულად სასკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდებზეა ფოკუსირებული, რადგან სწორედ ამ ასაკობრივ პერიოდში განიცდიან სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები როგორც აკადემიურ იმედგაცრუებას, ასევე ბულინგს, დეპრესიასა და თვითბრალდებას, რაც განაპირობებს მათი თვითშეფასების დაქვეითებას.

საკვანძო სიტყვები: სწავლის უნარის დარღვევა, თვითშეფასება, თვითაღქმა, სტიგმა.

LEARNING DIFFICULTIES AND SELF-ESTEEM CHALLENGES AT SCHOOL AGE

Tamar Tsignadze
PhD student of GTU

RESUME

Children with learning disabilities are often stigmatized and associated with failure, which lowers their self-esteem. Academic problems a child with a learning disability may experience can be a constant source offrustration, especially in the areas ofreading, math, reasoning, memory and/or self-control. Many children with a learning disability struggle with social acceptance among their peers and are bullied by their classmates (Westwood, 2004).

The purpose of the workshop is to analyze and evaluate how self-esteem is affected by those who struggle with a learning disability. The workshop will specifically focus on adolescents because children with learning disabilities suffer countless academic disappointments, bullying, depression and suicide, which may contribute to lowering their self- esteem. Research found that individuals with learning disabilities develop a negative self- perception of themselves unlike their peers who do not have a learning disability (LaBarbera, 2008). There is literature linking depressive tendencies, negative self-perceptions, low self- esteem, or emotional and behavioral disorders, anxiety and suicidal behavior of those who have a learning disability.

Key Words: learnings disability, self-esteem, self-perception, stigma, depressive tendences

შესავალი

სოციუმის მხრიდან მიმღებლობა ბავშვის ცხოვრებისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, თუმცა ამგვარ მიმღებლობას დიდწილად მოკლებულნი არიან ის მოსწავლეები, რომელთაც აღენიშნებათ სწავლის უნარის დარღვევა (Leaming Disability (LD)). სწავლის უნარის დაქვეითება არის ნევროლოგიური აშლილობა, რომელიც გავლენას ახდენს ტვინის ისეთ უნარებზე, როგორებიცაა: ინფორმაციის მიღება, დამუშავება, შენახვა და რეაგირება“ (Clauss-Ehlers, 2010).

ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს თან სდევს სწავლის სფეროში უკიდურესი გამოწვევები, აკადემიური სირთულეები. ბევრ უცხოურ ქვეყანაში ამ სტატუსს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერა, მაგრამ მაინც არის გარკვეული შეუსაბამობა ბავშვის შინაგან პოტენციალსა და მის მიღწევებს შორის. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებს, ჩვეულებრივ, აქვთ საშუალო ან საშუალოზე მაღალი ინტელექტი, მაგრამ ხშირად უჭირთ ისეთი აკადემიური დონის მიღწევა, როგორიც მათ თანაკლასელებს (Brown 2008) ამის შედეგად მათ უქვეითდებათ თვითშეფასება, მოტივაცია და, საბოლოოდ ბრკოლდება მათი სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციის პროცესი.

ძირითადი ნაწილი

ტერმინი - სწავლის უნარის დარღვევა (''Leaming Disability'') - გამოიყენება დასწავლის სხვადასხვა ტიპის სირთულის აღსანერად. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სწავლის უნარის დარღვევა არ არის დაავადება. სწავლის უნარის დაქვეითება რთული დასადგენია ახალშობილობის პერიოდში. იმის გამო, რომ არ არსებობს შეფერხების აშკარა ფიზიკური მაჩვენებელი, მშობელს უწევს, დაელოდოს განვითარების შეფერხების გამოვლინებას, რომ დადგინდეს, ნამდვილად აქვს თუ არა ბავშვს სწავლის უნარის დაქვეითება.

პიტერ ვესტვუდმა შემოგვთავაზა იმ პოტენციური სფეროების ჩამონათვალი, რომელთა შეფასებითაც შესაძლებელია იმის დადგენა, ნამდვილად არის თუ არა მოსწავლის პრობლემა დასწავლის უუნარობა. ეს ასპექტებია: არითმეტიკასა და მათემატიკასთან დაკავშირებული პრობლემები (დისკალკულია), სიმბოლოების, სახელების, ლექსიკური ერთეულების გახსენების პრობლემები (დისნომია), კითხვის მძიმე დარღვევა (დისლექსია), წერილობითი გამოხატვისა და წერის მძიმე პრობლემები (დისგრაფია), მართლწერის სირთულეები (დისორთოგრაფია) (Westwood 2004)

ტერმინი „სწავლის უნარის დაქვეითება" პირველად შემოიღო მასწავლებელმა - სამუელა კირკმა, პიონერმა არა მხოლოდ სპეციალურ განათლებაში, არამედ ზოგადად, მცირეწლოვან ბავშვებთან მუშაობაში. 1968 წელს ს.კირკის შეხედულებას მხარი დაუჭირა კონგრესმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადრეული განათლების დახმარების აქტის სახით. 1975 წელს სწავლის უნარის დაქვეითება სპეციალიტთა წრეში ოფიციალურად იქნა აღიარებული, როგორც დარღვევა(Kirk, Gallagher, Coleman, & Anastasiow, 2012). ჩიკაგოში გამართულმა კონფერენციამ უზრუნველყო იმ მშობლების ინფორმირება და ემოციური მხარდაჭერა, რომელთა შვილებიც ცდილობდნენ, ებრძოლათ ან რეალურად ებრძოდნენ განუკითხაობასა და აკადემიურ სირთულეებს საგანმანათლებლო გარემოში. სკოლის ოფიციალური პირები აკადემიური პრობლემების მქონე მოსწავლეებს მიაკუთვნებდნენ კოგნიტური დეფიციტის მქონეთა კატეგორიას. ეს ხდებოდა იმის გამო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ბავშვები არ ხასიათდებოდნენ დაბალი ფუნქციური უნარებით და ჰქონდათ ნორმალური ინტელექტი, მათ აღენიშნებოდათ სწავლასთან და აზროვნებასთან დაკავშირებული სირთულეები.

შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემაში არის 1,9 მილიონი ბავშვი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც სწავლის უნარის დარღვევის მქონე. საქართველოში სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების სტატისტიკური მონაცემები არ არის, თუმცა ამ პრობლემის მოგვარებაში ჩართულია განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი.

ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ცხოვრებას ფონად გასდევს წარუმატებლობა, რომელიც მათზე არ არის დამოკიდებული (Zastron & Ashman, 2010). ასეა სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაშიც. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები დაისწავლიან, რომ მათი აკადემიური წარუმატებლობა მათივე ბრალია, რის გამოც ხშირად კარგავენ სკოლაში თავის დამკვიდრების მოტივაციას. ეს მოსწავლეები ისე სწრაფად ვერ ითვისებენ საგნებს, როგორც მათი თანაკლასელები, რომლებსაც მსგავსი შეზღუდვა არა აქვთ. ბევრი ბავშვი, რომელიც წარუმატებელია სკოლაში, მაქსიმალურად ცდილობს, არ იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში, რადგან დარწმუნებულია, რომ მარცხი მოელის, რომ მისი ყველა მცდელობა წარუმატებელი იქნება. ამ მოსწავლეების პოტენციალი, რომ ახალი ნაბიჯები გადადგან ნათელი მომავლისკენ, არ ვლინდება, რადგან წარუმატებლობა ხშირი და განმეორებითია. ეს ყველაფერი მათ ხელს უშლის სიახლეების მოსინჯვის მცდელობებში.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოზარდები აკადემიურ გარემოში დიდ სიძნელეებს აწყდებიან, რაც ასევე ახდენს გავლენას მათ თვითშეფასებაზე. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები ძალიან გონიერები არიან, მაგრამ ცხოვრების განმავლობაში აქვთ მუდმივი აკადემიური წარუმატებლობა. მკვლევრები სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების წარუმატებლობას უკავშირებენ მათ უმწეობის განცდას, უფრო ადრე დანებებას სირთულეების წინაშე - არა შშმ თანაკლასელებთან შედარებით. ამის გამო სწავლის უნარის დარღვევის მქონე პირები ასოცირდებიან დაბალ აკადემიურ მიღწევებთან და უფრო მძიმედ განიცდიან სოციალურ, ემოციურ და მოტივაციურ სირთულეებს, ვიდრე ისინი, ვისაც არა აქვს სწავლის უნარის დარღვევა. სწავლაში წარუმატებლობა და საქმიანობის შესრულების დაბალი ხარისხი იწვევს საკუთარ თავში ეჭვის შეტანას, რაც მათ ხელს უშლის თვითაღიარებაში. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს შემდგომ წარუმატებლობას და დაბალ აკადემიურ შედეგებს. განმეორებითი აკადემიური წარუმატებლობა ასუსტებს თავდაჯერებულობასა და თვითშეფასებას.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებმა შეიძლება იგრძონ ზიზღი სკოლის მიმართ და მოგვიანებით დამნაშავეებიც კი გახდნენ. (McShawn & Williams, 2003). ამის მიზეზი ისიც არის, რომ დასწავლის სირთულის მქონე მოზარდები არასწორი მოქმედებების გამო ისჯებიან უფრო ხშირად, ვიდრე ის მოზარდები, რომლებსაც დასწავლის სიძნელეებთან ერთად მენტალური დარღვევებიც

აქვთ. (McShawn & Williams, 2003). აკადემიური წარუმატებლობა და გამოწვევები ამცირებს მათი ღირსების გრძნობას და შედეგად ვიღებთ დამყოლ, მორჩილ და პასიურ ქცევებს - დაბალ საგანმანათლებლო თვითშეფასებას და ე.წ. დასწავლილ უმწეობას. ეს კი კარგი ნიადაგია იმისათვის, რომ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები გახდნენ ჩაგვრის მსხვეპლი ან მჩაგვრელები, რათა ამ გზით გათავისუფლდნენ დაბალი თვითშეფასებით გამოწვეული შინაგანი შფოთვისაგან.

ცალკე უნდა განვიხილოთ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები, რომლებიც იმყოფებიან დამოუკიდებელ - ე.წ. ინკლუზიურ კლასში. ეს ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან სოციალიზაციის უფრო მეტი შესაძლებლობით. ასეთი გარემო ხელს უწყობს მეგობრობას, ამცირებს სტიგმატიზაციას, და წაახალისებს მათ მიზანდასახულობას, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან შერევისას კი კლასებში იზრდება ამ ბავშვების დაცინვის, ჩაგვრისა და აბუჩად აგდების ალბათობა. ისინი გამუდმებით განიცდიან მეგობრებისაგან გარიყვას, დაცინვას, თანატოლების მიერ დამამცირებელი მეტსახელების - „სულელი“ , „არანორმალური“ ან „ჩამორჩენილი“ მოსწავლის შერქმევას.

სკოლის პედაგოგები, როგორც წესი ვერ ახერხებენ, პრობლემის აქტიური განხილვისა და დახმარების გზების ძიების აქტივობებში ჩართვის გზით შეამცირონ სწავლის უნარის დაქვეითებასთან დაკავშირებული სტიგმა. აქ მნიშვნელოვანია მასწავლებლის მოტივირებულობა და პირადი ენთუზიაზმი. მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ სურვილი, რომ ითანამშრომლონ და განსჯისა და შეფასების გარეშე დაეხმარონ მოსწავლეებს თავიანთ ეჭვებთან და გაურკვევლობასთან გამკლავებაში. ამ გზით დაგროვდება შეუცვლელი და ღირებული გამოცდილება სწავლის უნარის მქონე ბავშვის სასკოლო წარუმატებლობასთან გამკლავების თვალსაზრისით.

სწავლის უნარის დაქვეითება ადამიანს სწავლაში ხელს არ უშლის, თუმცა მოითხოვს სწავლების განსხვავებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებას. ეს განსხვავება შეიძლება მოიცავდეს საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს ან სასწავლო რესურსის მოდიფიკაციას. შესაძლებელია, დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები გათავისუფლდნენ სტანდარტული ტესტირებებიდან და გამოცდებიდან, სასურველია, განისაზღვროს, როდის უნდა დაესწრონ ისინი სპეციალურ გაკვეთილებს ან იმუშაონ ინდივიდუალურად სკოლის რესურს ოთახში სადაც შეასრულებენ საგანგებოდ მათთვის შერჩეულ აქტივობებს(Healy, 2007).

დასკვნა

სწავლის უნარის მქონე მოსწავლეები სტიგმატიზებულები არიან, რადგან მათი თანატოლები, მათთვის დამახასიათებელი სწავლის სირთულის გამო, არ განიხილავენ, როგორც თანასწორთ. ეს აქვეითებს ამ მოსწავლეების თვითშეფასებასა და თვითპატივისცემის განცდას. სწავლის უნარის მქონე მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ შეზღუდულობას, როგორც დამღას და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ითხოვონ ან ეძებონ დახმარება.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებს, მათი საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ. ისინი განიცდიან უარყოფით ემოციებს, რადგან ვერ აკონტროლებენ ფიზიკურ გარემოს. წარუმატებლობა უფრო ხშირად გვხვდება დასწავლის უნარის ღრმა და მსუბუქი შეფერხების დროს. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების გამოცდილება იზღუდება აკადემიურ გარემოში, ამიტომაც ისინი ავლენენ აკადემიურ უმწეობას, ნაკლებ წინააღმდეგობას უწევენ მუდმივ წარუმატებლობას. ასეთი უწყვეტი ხელმოცარულობის ფონზე უყალიბდებათ დაბალი თვითშეფასება, მით უფრო, რომ ისინი ხშირად ადარებენ თავიანთ თავს თანატოლებს, რომლებსაც შეუძლიათ სირთულეების გარეშე სწავლა.

თუკი სასწავლო პროცესი და სასკოლო გარემო მოერგება განვითარების სხვადასხვა ტიპის შეფერხებების მრავალფეროვნებას, დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის სკოლა, სოციალიზაციის პროცესი და პიროვნული განვითარება ნაკლები დაბრკოლებებისა და გამოწვევების შემცველი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abar, N., Taj, R , & Malik, M. A (2010). Conclusive study to uncover the attributors for success and failure oflearning disable children. European Journal o fSocial Science, 16(4), 590- 592

2. Abraham, C., Gregory, N., Wolf, L., & Pemberton, R. (2002).

Selfesteem,stigmaandcommunity participation amongst people with learning difficulties living in the community. Journal ofCommunityandAppliedSocialPsychology, 12(1), 430-443.

3. Lindsay Wurm, Effective Teaching Approaches to Combat Learned Helplessness for Students in High School Special Education, St. Cloud State University, 2021.

4. Sujata Atul Sharma, Learned Helplessness among Adolescent (Male & Female) Students of Private and Government Schools Dr. (Mrs.). IOSR Journal of Environmental Science.